ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-07/181948-16 17 12 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-მთაწმინდა, კოჯრის გზატკეცილი №13/კოჯრის გზატკეცილი, სტელა „თბილისი“-ს მიმდებარედ/კოჯრის გზატკეცილი №13-ს მიმდებარედ (ნაკვ.№06/004, ნაკვ.05/005, ნაკვ.№005/002) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური გასართობი სამაყურებლო ცენტრი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-მთაწმინდა, კოჯრის გზატკეცილი №13/კოჯრის გზატკეცილი, სტელა „თბილისი“-ს მიმდებარედ/კოჯრის გზატკეცილი №13-ს მიმდებარედ (ნაკვ.№06/004, ნაკვ.05/005, ნაკვ.№005/002) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადი „17-1“ ღერძებში: შეცვლილია მინაპაკეტის ნახატი. შეცვლილია ზოგი ვენტ. ცხაურების ფორმა და გაბარიტი. -4.700 ნიშნულის ქვევით უმეტეს ადგილას არ არის გამოყენებული ვერცხლისფერი ალპოლიკი. “14-14” ღერძთან -12.00 ნიშნულის ზევით კედლის ფრაგმენტი არ არის ასხული ფასადზე სრულად. „17-17“ და „1-1“ ღერძებთან დამატებულია ალპოლიკის მოპირკეთება. -8.500 ნიშნულზე დამატებულია ლითონის დეტალები. „5-4“ მონაკვეთში დამატებულია კარი. „1-1“ ღერძთან კარის თავზე მოწყობილია მინაპაკეტი. „2-1“ მონაკვეთში -4.700 ნიშნულის ქვემოთ შესავსებია მინაპაკეტი. -4.700 ნიშნულზე „6-5“ მონაკვეთში შემცირებულია მოაჯირის გაბარიტი. ორფრთიანი კარის ნაცვლად მოწყობილია ერთფრთიანი. „6-6“ ღერძთან მინაპაკეტის ნაცვლად მოწყობილია ალპოლიკი. -0.020 ნიშნულის ძირში პროექტში არ არის ნაჩვენები ალპოლიკის ხაზი. -0.020 ნიშნულზე „15-14“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. „14-13“ მონაკვეთში ვენტ. ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი, ხოლო „13-11“ მონაკვეთში დამატებულია ვენტ. ღიობი. +2.600 ნიშნულზე „14-14“ ღერძთან შემცირებულია საქვაბის მილის გაბარიტი სიმაღლეში. „16-15“ მონაკვეთში განთავსებულია დროებითი ჯიხური. სახურავის პარაპეტზე დამატებულია მოპირკეთება. სახურავზე ასევე დამატებულია აგრეგატები, კონდიციონერები და გამწოვი მილები.

ფასადი a/1-d“ ღერძებში: „d-d“ ღერძის გარეთ და „b-d/g“ მონაკვეთებში დამატებულია ალპოლიკის მოპირკეთება. -12.00 ნიშნულზე „d/g- d/g“ მონაკვეთში მონოლითურ საყრდენ კედელს და კარს მონაცვლებული აქვს ადგილი, ასევე შემცირებულია აღნიშნული კარის გაბარიტი. „b-d/g“ მონაკვეთებში -2.65 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ვენტ. ღიობში ცხაური. „d/g-d/g“ ღერძთან ალპოლიკში ვენტ.ცხაურს მონაცვლებული აქვს ადგილი. -0.020 ნიშნულის მაღლა „a/1-a/1“ ღერძთან დამატებულია გამწოვი მილები. „a/1- d/g“ მონაკვეთში კედელი შესაღებია. -12.00 ნიშნულზე „a/1- d/g“ მონაკვეთში მოწყობილი კედლები არ არის ნაჩვენები პროექტში.

შენობის შიგნით -12.00 და -12.50 ნიშნულზე „2-2“ ღერძთან შექმნილია სივრცე (ფართი დაახლოებით 22 მ^2), გაუქმებულია მონოლითური კედელი და აღნიშნული სივრცე დაკავშირებულია საკომუნიკაციო გვირაბთან. ასევე დამატებულია კოლონა, რიგელები და კიბე. „10-11“ მონაკვეთში მონოლითური კედლის ნაცვლად მოწყობილია ბლოკის კედელი და

გაუქმებულია კარის ღიობი. აღნიშნულ მონაკვეთში კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი, „11-11" ღერძთან შემცირებულია კიბის გაბარიტი. საკომუნიკაციო გვირაბში „13-13" ღერძთან არ არის მოწყობილი საფეხურები. გაზრდილია მონოლითური კედლის სიგრძე და შეცვლილია დონის ფორმა. „10-10" ღერძზე კიბის უჯრედის უკან სართულებზე შეცვლილია კედლის კუთხის ფორმა. „16-16" ღერძთან ვიტრაჟების წინ განთავსებულია საკომუნიკაციო დონე. -8.50 ნიშნულზე "4-8" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების დახრის კუთხე "5-2" მონაკვეთში გაზრდილია სვეტებიდან ვიტრაჟამდე მანძილი დაახლოებით 80 სმ.-ით. "1-1" ღერძთან ვიტრაჟში გაზრდილია კარის სიგანე. "4-6" მონაკვეთში -8.50 და -4.70 ნიშნულებზე სვეტებიდან მონოლითურ კედლამდე მანძილი არ ემთხვევა საპროექტოს. -4.70 და -3.83 ნიშნულებზე "4-6" მონაკვეთში მონოლითური კედლების ნაცვლად მოწყობილია ტიხრები. "6-6" ღერძთან ტექნიკურ ოთახში დამატებული კონსტრუქციული დეტალი. "8-5" მონაკვეთში შეცვლილია აივნის და მის თავზე არსებული ფილის კონფიგურაცია. "13-14" მონაკვეთში შეცვლილია მონოლითური კედლის კონფიგურაცია. "11-11" და "b-b" ღერძების კვეთასთან მონოლითურ კედელში ერთფრთიანი კარის ნაცვლად მოწყობილია ორფრთიანი. -1.20 ნიშნულზე (საქვაბეში და სატრანსფორმატოროში) "a/1/-a/1" ღერძის მიმდებარედ შეცვლილია მონოლითური კედლის კონფიგურაცია. სატრანსფორმატოროში სვეტებს შორის მანძილი არ ემთხვევა საპროექტოს (შემცირებულია სიგანე), დამატებულია ერთი კოლონა და გადაადგილებულია ერთი კოლონა, ასევე შესასვლელი კარი გაზრდილია სიმაღლეში დაახლოებით 20 სმ.-ით. მის გვერდით შეცვლილია კედლის კუთხის კონფიგურაცია. "15-15" ღერძის გარეთ "b-b" ღერძთან შემცირებულია ფანჯრის სიგრძე და სვეტები გადაწეულია „15-15" ღერძისკენ. -0.60 ნიშნულზე შემცირებულია დონე დაახლოებით 0.20 მ-ით და შესაბამისად „16-16" ღერძთან გაუქმებულია კიბე. +0.00 ნიშნულზე კიბის უჯრედის კარები გადაწეულია დაახლოებით 15 სმ.-ით. ცხაურში გაუქმებულია ერთი კარი. სახურავის პარაპეტზე დამატებულია მოპირკეთება.
საცურაო აუზში არ არის ნაჩვენები კედელი და კიბის ჩასასვლელი დონე. ასევე კიბის თავზე განთავსებულია გადასასვლელი ბაქანი. აუზის გარშემო დამატებულია ფილებით მოპირკეთება. ტერიტორიის კეთილმოწყობა არ არის დასრულებული.

სართულებზე შეცვლილია ზოგიერთი შიდა ბაქნების გაბარიტი.

წითელი ხაზის გარეთ „8-2" მონაკვეთში კლდის ზოგიერთ ადგილას მოწყობილია ყორე და მოპირკეთების ზოლი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად; შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ს/ს „ქართუ ჯგუფი"-ს (გენ. დირექტორი ნოდარ ჯავახიშვილი) ქ. თბილისში, სექტორი-მთაწმინდა, კოჯრის გზატკეცილი №13/კოჯრის გზატკეცილი, სტელა „თბილისი"-ს მიმდებარედ/კოჯრის გზატკეცილი №13-ს მიმდებარედ (ნაკვ.№06/004, ნაკვ.05/005, ნაკვ.№005/002) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური გასართობი სამაყურებლო ცენტრი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №07/181948-16 03.12.2012წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**